

1940

ქობინა

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



1940

№6



№ 6
0350სი
1940 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“

რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ., № 34
ტელ. № 3-02-61

ოქტომბრედი

საბართმელოს ა. ლ. კ. კ. ცეკას და საბ. ბანსახკომის მკთვითმკობრი მობანო „Октомбреди“ ჟურნალ ცენტრალური კომიტეტი ლკსმ გრ. ი ნარკომპროსა გრუზიი.

შეღწევა შინაარსში

	გვ.
1. აბაკი ღმრმთეღი,—გუღის პასუბი (ღეჭსი)	1
2. აბაკი ღმრმთეღი,—ყმადეღი ლა პეღელა (ღეჭსი)	2
3. ლავრ. შინინამი,—უჭრობი შეჭურა (წერღი)	3
4. ნენო ნაკაშიმი,—აკი და ბეღეღი (მოგონება)	5
5. აბაკი ღმრმთეღი,—გამოცანეღი	9
6. სოლომონ ცანიშვიღი,—როგორ სწავლობდა აკი (ნარკეღი)	10
7. აბაკი ღმრმთეღი,—ბრეღეღი და ჭეღიანი (არაკი)	11
8. ალ. სულავა,—აკი ბეჭოში (მოგონება)	12
9. სანდრო შინინამი,—აკის (ღეჭსი)	13
10. გიორბი შოჩიშვიღი,—ჩემი დღიურიდან (მოგონება)	14
11. სოლ. ხუციშვიღი,—აკის პირეღი შიარეღი	15
12. ლადო ბეღანელი,—სხეიტორი (მოგონება)	17
13. თურმან შანშიაშვიღი,—ჯანგრიღის ენა (ზღაპარი)	18
14. ბეღეთა შემოქეღეღი,—(ღეჭსი)	ვარეღიანი მე-3 გვ.
15. თავარ შანშიაშვიღი,—ციღნია (ნოტი)	ვარეღიანი მე-4 გვ.

გურნალის მბატელობა ეკუთენის — ი. კოქიაშვიღს.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ლ. შინინამი პასუხისმგებელი მდივანი: თ. შანშიაშვიღი

გადეღა წარმოებას 21/V 1940 წ.

ქალღლის ზომა 60×92

ხელმოწერიღია დასაბეჭდად 25/VI 40 წ.

ფორმათა რაოდენობა 22-გვ. 9¹/₂×14

3636



1840 წ.

1912 წ. აგვისტო

1940 წ.

მეგობარი

მეგობარი ბიბლიოთეკის
ქ. ვაჟა-ფშაველას ბიბლიოთეკა...
მეგობარი ბიბლიოთეკის
ქ. ვაჟა-ფშაველას ბიბლიოთეკა!

ბიბლიოთეკის, ბიბლიოთეკის.
ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკის?
ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკის
ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკის

ვ. ვ.

აქვე ხეղეთლი

ყმაწვილია ჰ ჰეჭეჭა

ჭრელი ჰეჭეჭა დაათრო
და გაანბრა იმა...
მას მიუპარა ყმაწვილი,
დაიჭირა და იმა...



მთურსით უთხრა: ჰეჭეჭა,
თავს რითი ირჩებ შენა?
როგორ არ ვლავს მთელი დღე
მოუსუენბარად თრება?

ჰეჭეჭამ უთხრა: მიხდომში
უწხოვრობ მე უბრუნებულად,
იქ ყრავილოები გაძლილთ
ხელს სასბრდორ, საჩრუნებულად

რაც დღე მქვს - ცხილად ვაჭაობ,
ჩემ ხეხარდავ დაჯდობ,
მავრამ დღეგომელი არა ვარ...
ვაშიძვი... ხელა მყდობ!

ყმაწვილმა ხელი ვაქმე,
ვაფინდა ხანი ჰეჭეჭა
და, თითქოს ნიშნად ძაღლობის,
თავს უქოქბოდა ხელ-ხელა.





აკაკი ახალგაზრდობისას.

„არ მომკვდარა! მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს! ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უმალ მასვე დაამწყვდებს.“

1905 წლის რევოლუციას აკაკი აღფრთოვანებით შეხვდა, თავისი საოცნებო გამორები მან უკვე დაინახა და სწორედ ამიტომ გაისმა აკაკის ხმა:

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ! ვიცინი, აღარ ვტირი მე.“

აკაკის მრავალი ლექსი დაწერილია გლეხების უმწეო მდგომარეობაზე. მათი სატრფიალოა პატიოსანი შრომა და ყანაში პირწმინდა ნამგლის ტრიალი. გლეხებსაც ბევრი მძარცველი ჰყავდათ, რომლებიც გლეხებს ტყავს აძრობდნენ. მეფის მოხელეები მათ ადამიანებადაც არ თვლიდნენ. ყოველი მხრით დაჩაგრული ხალხის შეიღმა გაბედულად დაწერა ლექსი სისხლიანი ნიკოლოზ მეფის მთავრობის საწინააღმდეგოდ:

„ძირს მთავრობავ, უსამართლო! ვეღარ ვიტანთ გასაჭირსო, —

მთელ სიცოცხლეში აკაკი მუდამ ასე გაბედულად წერდა. არც პირად და არც მოფრიდებოდა ხოლომე. მას მეფის ბევრი მოხელე და თავადები საშინლად გაუკიცხავს. 1884 წელს გორის საზოგადოების მოწინავე ნაწილს დიდი კრება მოუწვევია. აკაკიც დასწრებია კრებას, სადაც მსჯელობა უოფილა გორში გიმნაზიის დაარსების შესახებ. ყველა მისალმებია ამ მშვენიერ აზრს, მხოლოდ ამილახვრები გამოსულან წინააღმდეგე. მაშინ აკაკის უთქვამს: მე არც მიკვირს და არც გამკვირებია, ამილახვარი რის ამილახვარი იქნება, თუ საზოგადოება და მისგან წამოწყებული კეთილი საქმე არ დალახვრაო.

ამ გამბედაობის გამო აკაკი გოლიათად ჰყავდათ წარმოდგენილი იმ პირებს, რომლებიც მარტო ნაწერებით იცნობდნენ. გორის რაიონში, სოფელ ტყვიავში, ერთ-ერთ მცხოვრებს, იასე ფალავანდიშვილს, მიუწვევია აკაკი. მას პირველად ენახა ის პირადად და გაკვირვებით უთქვამს: ეს არის ჩვენი აკაკი?! მე ერთი იაღბუზის ოდენა რაღაც მეგონა და ჩემი სიმაღლეც არ არისო.

აკაკის უყვარდა თავისი სამშობლო, თავისი ხალხი, მაგრამ სხვებიც არ სძულდა. ამიტომ აკაკი ყველასთვის ერთნაირად საყვარელია. მისი ორმოცდაათი წლის მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე ხალხმა სახალხო დღესასწაულად გადააქცია. ფეხქვეშ ყვავილებს უფენდნენ და ისე ატარებდნენ. დღეს მისი ასი წლის თავს თავისუფლად ვზეიმობთ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

თავისი დიადი ნიჭი აკაკი წერეთელმა ხალხის საკეთილდღეო საქმეს მოახმარა. კიდევ მრავალი საუკუნე გაივლის და აკაკის უკვდავი ხსენება მარად ბრწყინავს უუქურად იქნება ანთებული ხალხის გულში.



აკაკი და ბავშვები

(მოგონებებიდან)

„სალამი მგოსან აკაკის,
სალამი მოხუც ძიასა!
იმის ჭიკაძის ვაკოცებთ,
ვით გაზაფხულის იასა!
დედამ გაგვზარდა ძუძუთი,
ისა გვზრდის თავის კალმითა,
ყელზე ეხვევა სამშობლოს
მხნე, მაღლიანი მკლავითა!

ამიტომ ეგებებიან
მგოსანს დღეს სიყვარულითა,
ამიტომ აძლევს სალამსა
მას საქართველო გულითა!
სალამი მგოსანს ჩვენგანაც,
სალამი მოხუც ძიასა,
იმის ჭიკაძის ვაკოცებთ,
ვით გაზაფხულის იასა!“



სეთი ლექსი უძღვნა დიდ
მგოსანს პოეტმა ირო-
დიონ ვედოშვილმა, რო-
დესაც აკაკი სამოცდარვა
წლის იყო და როდესაც მას
მადლიერმა ქართველმა
ხალხმა მწერლობისა და
მოღვაწეობის ორმოცდა-

ათი წლის იუბილე გაუ-
მართა. არ იყო საქართველოში არც ერთი
ქართველი, არც დიდი, არც პატარა, რომ
აკაკი არ ჰყვარებოდა. უყვარდა ყველას
იმიტომ, რომ თვითონ აკაკის უყვარდა
ყველა. უყვარდა თავის სამშობლო და
თავის მშვენიერ მუსიკალურ ლექსებში
აყვარებდა ყველას თავისი სამშობლოს.
მთელი თავისი ნიჭი და უნარი მან სამ-
შობლოს და ჩაგრული ხალხის სამსახურს
მოანდომა.

აკაკი ბევრს წერდა ბავშვებისათვის,
როგორც ლექსებს, ისე მოთხრობებს,
პოემებს, ზღაპრებს, გამოცანებს და სხ.
ყველა საბავშვო ჟურნალში — „ნობათში“,
„ჯეჯილში“ და „ნაკადულში“ — თან-
აშრომლობდა. „ნაკადულში“ მან პირ-
ველი ნომრიდანვე დაიწყო წერა. პირ-

ველ ნომერში მან მოათავსა სამი მასალა
მოზრდილთათვის და მშვენიერი ლექსი
უმცროსთათვის — „ნაკადული“. მას შე-
მდეგ გარდაცვალებამდის ერთი მთავარი
თანაშრომელი იყო ჟურნალისა. რო-
დესაც 1908 წელს იუბილე გაუმართა
ქართველმა ხალხმა, „ნაკადულის“ რე-



აკაკი მოზუტეებულობაში.

დაქციამაც გავზავნა თავისი წარმომადგენლები. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ნაციონალური ტანისამოსში გამოწყობილ ხუთ ბავშვს ეჭირა ხელში ყვეაღლეებისაგან დაწნული თითო ანბანი. ბავშვები რომ გამოვიდნენ დახალხით სავსე დარბაზში გამწკრივდნენ, ყველამ წაიკითხა ცოცხალი წარწერა „აკაკი“, ეს იყო ერთი საუკეთესო გვირგვინი და ხალხიც მქუხარე ტაშით მიეგება. აკაკისაც ძალიან გაუხარდა და ყველა ბავშვი გადააკონა. „ნაკადულის“ რედაქცია ულოცავდა აკაკის ბრწყინვალე დღესასწაულს და უსურვებდა დღევრძელობას. მილოცვის წაიკითხა მე მქონდა დავალებული და მე წავუკითხე. აკაკიმ ბავშვები თავის წინ დასხა და დიდხანს არ გავგვიშვა სცენიდან.

აკაკის უყვარდა „ნაკადულის“ რედაქცია. ყოველთვის ღიმილით შემოვიდოდა, ამოიღებდა ჯიბიდან ლექსს და გვეტყობდა:

— მოგიტანეთ თქვენი გვირგვინებისთვის ლექსი, არ ვიცი, მოგეწონებათ თუ არა, თუ მოგეწონოთ, დაბეჭდეთ, თუ არა და რედაქციის კალათაში გადაუძახეთ.

მერე დაჯდებოდა და კარგახანს გვემუსაიფებოდა. ძალიან ხალისიანი და მხიარული ლაპარაკი იცოდა და ყოველთვის გატაცებით ვუსმენდით. ყველას გვახალისებდა აკაკის მოსვლა, გახარებული იყვნენ აგრეთვე ბავშვები. აკაკიც მაშინვე მოისვამდა გვერდით ბავშვებს და გაიბმებოდა მათ შორის სიცილ-ხარხარო და გაცხოველებული საუბარი. მე შემემძლო ბევრი რამე საინტერესო მენამა აკაკის შესახებ, მაგრამ ახლა მინდა გიამბოთ ერთი მისი საუბარი ჩვენ რედაქციაში ბავშვებთან. კაბინეტში ვიჯექი. კარი გაიღო და შემოვიდა აკაკი.

— ამჯერად არაფერი მომიტანია და შემომიშვებთ? — თქვა მან.

დაჯდა და მაშინვე გავაბით ლაპარაკი „ნაკადულში“ მოთავსე-

ბული მასალების შესახებ. ამ დროს კაბინეტში შემოვიდა სამი ბავშვი, ვიქტორია და დიომიდე ათანაძე და ბეტა ხუციანი. ტაშულიანი იროდობოდა ევროპიდან დასაქმებული ყველანი პირდაპინილები და თავდავარცხნილები. მერმე გავიგე, აკაკის მოსვლა რომ გავგოთ, საგანგებოდ დაეხანათ პირი, ფხვსკმელები გაეწმინდათ და ისე შემოვიდნენ. აკაკიმ ყველას ხელი ჩამოართვა და მაშინვე ჰკითხა:

— ახლა თქვენ უთუოდ სკოლიდან მოხვალთ და გზაში ძია შიო ხომ არ შეგხვედრიათ კურდღლეებით ხელში?

— არა, კურდღელი არ ჰყავს შიოს, კურდღლის ლექსი კი „ნაკადულში“ იყო დაბეჭდილიო, — უპასუხა უფროსმა ბავშვმა.

— არა, კურდღლები არ ჰყავს ძია შიოს, — დაბეჯითებით თქვა ორმა.

— კურდღელი არ ჰყავს შიოს? თქვენ არ გცოდნიათ, კურდღლებიც ჰყავს, ციციუნიებიც და ცუგოებიც...

— სად ჰყავს, სად? — დაეკითხნენ გაცილებული ბავშვები.

— ჩემი აზრით, ციციუნიები ჯიბეში ჰყავს, კურდღლები უბეში და ცუგოები კი წაღების ყელში.

— წაღები არა აქვს ძია შიოს, ბატინკებს იცვამს.

— ნამდვილად ვიცი, რომ ციციუნიას ჯიბეში უყვარს ჯდომა, — უთხრა აკაკიმ.

— შენც ჯიბეში გყავს ციციუნია, აბა გვაჩვენე!

ჩახედეს ჯიბეში.

— არა, მე არ მყავს, მე მყავდა და გაუშვი, ლექსიც გამოვატანე თქვენთან.

— ჰო, ჰო, ჩვენ ვიცით, ის არის, საბავშვო ბაღში რომ გვასწავლეს?

— ჰოო, იცით? აბა, თუ ბიჭები ხართ, თქვით...

უსებ წამოცვიდნენ სამივე და დიწყეს სიმღერით:



«ციკუნია კატაო,
აგრე რამ დაგხატაო,
ნუ ხარ ჩემზე გაბუტვით,
სევლა მოგვემატაო.

და სანამ მთლად არ ჩაათავეს ლექსი, აღარ გაჩუმდნენ. აკაკი უყურებდა თავაწეული, თვალეგაბარწყინებული.

— აი, ყოჩაღ, «ციკუნია», ხომ მოუტანია, სწორედ ის ლექსი, მე რომ გამოვატანე!

— კურდღლის ლექსიც შენ გამოგვიგზავნე, ძია?

— მაშ, მაშ, მე ვიცო, ისიც გეცოდინებათ.

— ვიცით, ვიცით! — შესძახეს და კიდევ დაიწყეს:

«ერთი შეხედვით კატას ჰგავს,
ყურები დაუტყვეტია...»

და სანამ ესეც არ ჩაათავეს, არ გაჩუმდნენ. აკაკი ყურადღებით უსმენდა და უთხრა:

— თუ გინდათ, ახლა მე ერთ ამბავს გაიმბობთ.

— ჯიბეში გაქვს?

— არა, ჯიბეში არ ჩაეტია, დიდია, მთაში ვნახე, სვანეთის მთაზე, ნამდვილი ამბავია. სვანეთი ხომ გაგიგონიათ, დიდი მთებია, თოვლიანი, თავზე ხან ღრუბლების თეთრი ქული ახურავს და ხან მზე აცინებს თავის ბრწყინვალე სხივებით.

— ჰო, ვიცით, ვიცით, სვანეთში ერთი ბიჭი გაიპარა.

— გაიპარა? ძალიან ცუდი უქნია. მე თქვენ არ გირჩევთ გაპარვას. რათ გინდათ გაპარვა, როდესაც თავისუფლად შეგიძლიათ წასვლა, დიდი რომ გაიზრდებით. მხოლოდ გახსოვდეთ, თან თხილამურები წრიაპები და თოკი უნდა წაიღოთ. ახლა კი, აბა, ყური მიგდეთ, თუ გინდათ გაიმბოთ, რაც სვანეთის მთაზე ვნახე.

— შენ იყავი, ძია, მთაზე?

— მე ვიყავი უფრო დაბალ მთაზე. სვანეთის მშვენიერ შრიალა ტყიან მთაზე, ყვავილებიანი მწვანე მინდვრები რომ არის ხალხისათვის შიგადაშიგ გაშლილი. ერთმა დიდქულიანმა სვანმა, დიდ მაღალ კოშკში რომ ცხოვრობდა და თათარხანი ერქვა, წამიყვანა, დამანახა მინდორი და ერთი დიდი ხის უკან დამმალა.



აკაკი მუღლლით.

— თვითონ დიდქულიანი თათარხანი წავიდა მაღლა კოშკში?

— არა, ისიც ჩემთან დაიმალა და მი-თხრა: „ახლა ვუყუროთ, რაც ნახო, და მერე დასწერო.“

— შენ რომ თქვი არ დამიწერილა?

— ჯერ გაიმბობთ და თუ მოგეწონებათ, დაეწერ... ჰო და გაეჩერდით ორი-ვენი ჩუმაღ... რწყილივით. და ვხედავთ, ვხედავთ, გამოვიდნენ, მარა რა გამოვიდნენ...

— ღვევები?

— ჭინკები?

— ფერიები?

— ვერ გამოიცანით? გამოვიდნენ ჩიტები, მაგრამ, იცით, რა ჩიტები?

— მტრედები!

— მტრედები? არა, მტრედებივით ცისფრები კი იყვნენ, მაგრამ უფრო დიდები, უფრო ლამაზები, უფრო ცქვიტები. გამოვიდნენ და დასხდნენ მინდვრის ნა-

პირზე, დავთვალე, ბევრი იყო... თქვენ დათვლა იცით ოცამდრი?

— ვიცით, ოცი...რაა...

— ჰო, იქ მეტი იყო, ორმოცი იქნებოდა, ოცი და კიდევ ოცი. ბავშვები გაფაციებით ყურს უგდებდნენ.

როდესაც დაქურთმდნენ ყველანი, მერე თამაშით და ცეკვით გამოვიდა მამალი ჩიტი. ის კიდევ უფრო ლამაზი, გრძელ კუდიანი და პატარა წითელბიბილოიანი იყო. დიდხანს იცეკვა ამ ლამაზმა ფრინველმა მინდორში, დიდხანს იტრიალა, ნახალ დაუსტვინა კიდევაც. დაიღალა, მაგრამ მაინც ცეკვავდა და ცეკვავდა. დამჯდარი ჩიტები ხანდახან ჩონჩურის სიმებრით გაიწკრიბებდნენ და შეტორტმანდებოდნენ. ბოლოს აღდა ერთი, გაიქცა და დაუღა გვერდში მოცეკვავეს. ჰო, რა გაგებარდა მოცეკვავე ჩიტს! ფრთები ასწია, აიბერტყა, დაუსტვინა და დაუსტვინა და ორივენი გაიქცნენ.

— სხვები იქ დარჩნენ?

— დაიცათ, მე ხომ ვერ არ გამოთავებია. წავიდნენ ისინი თუ არა, გამოხტა მეორე ჩიტი, ისიც ლამაზი და მშვენიერი, დაუარა ცეკვით და იცეკვა, სამამეორე დამჯდარი ჩიტი არ აღგა და არ

ამოუღა გვერდში. შემდეგ გამოვიდა მესამე, მეოთხე და ასე, სანამ ყველა ჩიტი არ გაჰყვა თითო ამხანაგს... „მნოსნული წავიდეთ“, — ვუთხარი მე სვანს. „არა, ცოტა კიდევ დაიცადე“ — მითხრა მან. ამ დროს გამოვიდა შუა მინდორში ერთი წყვილი ჩიტი. რა ლამაზები იყვნენ; გრძელ ლურჯ კულზე და ცისფერ მომწვანო ფრთებზე თითქოს ვიღაცას ვარდის ფურცლები გადაუფრქვევიაო. მამალს თავი მაღლა ეჭირა და დაიწყეს სტვენა, ისე უსტვენდა, რომ რომელი სალამური შეედრებოდა მის ხმას. ამ სტვენაზე ზოგი გამოვიდა წყვილ-წყვილად და ჩიტები მწყობრად გაიფანტნენ მინდორში. ნელნელა უსტვენდნენ, თან თითქოს იცინიანო — „ჰა-ჰა-ჰა, ჰა-ჰა-ჰა“ — და ამ სტვენისა და „ჰაჰაჰა“ ხმაზე წვედნენ ფრთებს მაღლა, დაიქნენ და დახტოდნენ ირგვლივ.

დიდხანს ვუყურებდით. ნამდვილ ყვავილებს ჰგვანდნენ.

— ამ ჩიტებს ჩვენ არასოდეს არ ვკლავთ.

— მითხრა სვანმა. ყოველ ზაფხულს მოფრინდებიან აქ, სვანეთში, გამოჩვენებარტყვებს, გაზრდიან და ისევ მიფრინავენ თავის ქვეყანაში.

— სად არის მათი ქვეყანა? — ვკითხე მე.

— ამბობენ, ამერიკა არისო.

— ნუთუ ამერიკაში მიფრინავენ?

— ვკითხე მე.

— ამერიკა სადაა, ძია? — დაეკითხნენ ბავშვები აკაკის.

— ამერიკა სადაა არც იმ სვანმა იცოდა.

— არც შენ იცი?

— მე კი ვიცი, მაგრამ ხომ გაგიგონიათ ზღაპარში: აქედან გაღმა, ცხრა მთას გაღალმა...

კანცულარიაში დამიძახეს რაღაც საქმეზე და როდესაც დავბრუნდი, ბავშვები ისევ ისხდნენ აკაკისთან და ყველანი იცინოდნენ.

— აი თქვენისთანა ქინკები სწორედ ასეთ ტყეში ცხოვრობენ სამეგრელოში.

— ჩვენ რომ კული არა გვაქვს?

— ჰო, კული რომ გქონდეთ, ნამდვილი ქინკები იქნებით, ე. ი. პატარა მაიმუნები.

— გვიამბე, ძია, ქინკების ამბავიც.



აკაკის წიგნები.

ამ დროს კაბინეტში შემოვიდა მწერალი შალვა დადიანი.

— აი, — თქვა აკაკიმ, — ამის მამასაც უნახავს ის მაიმუნები, მეგრელები რომ ჭინკებს ეძახიან.

შალვან გაეცინა და სანამ აკაკი და ის ერთმანეთს მიესალმებოდნენ, ერთმა ბავშვმა თქვა:

— ჩვენ წავიდეთ, ხედავ, დაიღალა ძია, ჩვენსავით ახალგაზრდა ხომ არ არის!

და გაიქცნენ.

— შეხედ, როგორ გამეპარნენ, — ჭინკების ამბავსაც ვუამბობ, შემდეგ რომ მოვალ. მამაშენისაგან, ნიკო დადიანისაგან, მაქვს ვაგონილი.

— მე არაფერი ვიცი ამის შესახებ, — უთხრა მას შალვამ.

როდესაც აკაკი აღგა წასასვლელად, მართლა დაღლილობა ეტყობოდა, როგორცაც მოშვეებული და ზურგში მოხრილი იყო. ნელი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

ამის შემდეგ კიდევ იყო რედაქციაში აკაკი და კიდევ უფრო დაღლილობა ეტყობოდა, გაუთავებელი ომი ძალიან მღლილი, — ამბობდა.

გარდაცვალების წინ მე თვითონ ვნახე ძვირფასი მწერალი ავადმყოფი თავის სოფელ სხვიტორში.

მარცხენა გვერდზე იწვა უძრავად ჩემი მისვლა ძალიან ესიამოვნა, მაშინვე „ნაკლულის“ ამბავი მკითხა. ექიმი თავზე დაგადა ლაპარაკის ნებას არ აძლევდა, მაგრამ მინიშნებით მესაუბრა კარგახანს:

— მინდა ამ ომის გათავებამდე ვიცოცხლო, ვნახო ჩემი ქვეყანა განთავისუფლებული, მინდა ჩემს ენაზე კი არა, რუსთაველის ენაზე ლაპარაკობდეს ჩემი ერი თავისუფლად.

მერე დაუძახა თავის შვილს ალექსის, და მითხრა:

— აი ამისთვის დაეწერე ჩემი პოემა „ალექსი“, მაგრამ ქართული ვერ შევასწავლო.

შევატყვე სახეზე, რომ გალიმება უნდოდა, მაგრამ ვერ გალიმბა და ცალი თვალიდან ცრემლი გადმოუვარდა. ძირს ჩამოვარდნილი ცხვირსახოცი მივაწოდე და მეც კინალამ ავტირდი. მაგრამ ექიმმა მიხსნა, ჩაღვა ჩვენ შუა და საბანი გაუსწორა. ჩემ ხელს არ უშვებდა ხელიდან. ვიჯექი წყნარად და მეორე ხელით ვეფერებოდი მის მარჯვენა მკრთალ, დაღუნებულ, მაგრამ საყვარელ ხელს, რომელმაც დაწერა მრავალი ლექსი, პიესა, პოემა, მოთხრობები, ზღაპრები და სხ. ვიჯექი ჩუმად, სანამ ჩაეძინებოდა, მერე ნელა, დიდი მადლობით ვეამბორე მის მოამავე დაღლილ ხელს და ავდექი.

აკაკი ნარიშვილი


გ ა მ ო ტ ა ნ ე ბ ი

1) ხმას არ იღებს, ლაპარაკობს, წინ გვიყენებს ცოცხალ-მკედრებსა, არც იცინის და არც ტირის, ჩვენ კი გვაცინ-გვატირებსა.

2) დედასაც ვკამთ, შვილებსაც ვსვამთ, ორივე გემრიელია; დედა ახალი სჯობია, შვილი — რაც უფრო ძველია.

3) არც ფრთები აქვს, არც ფეხები, იკლავება გველივითა; სუამს და არ ქამს, გზა-გზა დადის და მიზუის მგელივითა.

4) არც იცის ფრენა, არც ხტომა, დაცოცავს ძალისძლიობითა; ჰაერში სახლკარს იკეთებს. შიგა ზის წლიდან წლობითა და სტუმარს ელის სიამით, ნაძრახი მასპინძლობითა.



როგორ სწავლობდა აკაკი

რვა წლისა რომ გახდა აკაკი წერეთელი, სასწავლებლად ქუთაისში წაიყვანეს. მანამდის მისი საუკეთესო მასწავლებელი დედა იყო. მან შეასწავლა პატარა აკაკის წერა-კითხვა და შეაყვარა ქართული წიგნები. სკოლაში შესვლამდე აკაკის წაკითხული ჰქონდა იმდროინდელი ქართული წიგნები და მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“.

ასეთი მომზადებული და გონებაგახსნილი ბავშვი, ცხადია, კარგი მოსწავლე

იქნებოდა. მან ადრე გაიარა მოსამზადებელი კურსი, შემდეგ ქუთაისის, ეგრეთწოდებულ, საგუბერნიო გიმნაზიის პირველ კლასში ჩაირიცხეს.

თუ როგორ სწავლობდა აკაკი გიმნაზიის მთელ მანძილზე, გამორკვეული არ არის, რადგან სასწავლებლის საბუთები მოსწავლეთა სწავლა-წარმატების შესახებ არ შენახულა.

დღემდე დაცულია მხოლოდ ერთი საბუთი, საიდანაც ირკვევა, რომ აკაკი 1858 წელს გიმნაზიის მეექვსე კლასში ყოფილა. მაშინ გიმნაზია სულ შვიდი კლასიდან შედგებოდა და აკაკისა 1859 წელს უნდა დაემთავრებინა იგი, მაგრამ მამამისს თხოვნა შეუტანია, რომ შვილი გიმნაზიიდან გაეყვანა და თან საჭირო მოწმობები და საბუთები უთხოვია.

გიმნაზიის უფროსებს ეს თხოვნა დაუკმაყოფილებიათ და გიმნაზიიდან მიმავალი აკაკისათვის სათანადო მოწმობაც მიუციათ ამ მოწმობიდან ირკვევა, რომ აკაკი როსტომის-ძე წერეთელი ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზიაში სწავლობდა 1852 წლიდან 1859 წლის 23 თებერვლამდე და ყოფაქცევაში მთელი ამ ხნის განმავლობაში ჰქონდა 5, ხოლო დანარჩენ საგნებში მოცემულია 1858 წლის საგამოცდო ნიშნები, რაც აკაკის მეშვიდე კლასში გადასვლის დროს მიუღია: ამ გამოცდების შედეგად აკაკის სწავლა-წარმატება გიმნაზიაში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

1. სამღვთოსჯული. 5
2. რუსული ენა 6
3. ქართული ენა 5
4. ფრანგული ენა 5
5. თურქული ენა 5
6. მსოფლიო ისტორია 5
7. მათემატიკა 4
8. გეოგრაფია 4
9. ფიზიკა 4



აკაკი ბავშვობაში

10. ლათინური ენა	4
11. ბუნებისმეტყველება	3
12. სუფთა წერა	3
13. ხატვა-ხაზვა	3

ამ მოწმობიდან ამჟამად, თუ რომელი

საგნები უფრო უყვარდა და ეადვილებოდა აკაკის. ენებისა და ლიტერატურის შესწავლით გატაცებული, მაშინვე ახალგაზრდა პოეტი, უნივერსიტეტის სიტყვიერების დარგზე შევიდა.

აკაკი ნაკათალი

ბრიყვი და მოჰყვა



რიყვი და ჭკვიანი შეიყარნენ გზაჯვარედინზე. ჯერ გამარჯობა უთხრეს ერთმანეთს და მერე ჰკითხა ჭკვიანმა:

- სად მიდიხარო?
- არსად, აგერ, ცხრა მთას იქით, სატირალში მეძახიანო, — უპასუხა ბრიყვმა.
- შენ სადღა მიდიხარო?
- მეც აგერ, ამ მთას ვადაღმა, ქორწილში შეპატრუებიანო!
- ღმერთმა კარგი მოგცეს, ერთი გზა გქვინიაო.

დაადგნენ ორივენი ერთ შარას და გააბეს საუბარი. ბირველ მთის ძირამდე რომ მივიდნენ, მოშივდათ, სადილი მოინდომეს, დასხდნენ. მოისხნეს გულა-ხურჯ ინები, ამოიღეს საგზალი და დაუწყეს ჭამა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ბრიყვმა უთხრა ჭკვიანს:

- კატასავით რომ იცუცნები, სთქვი რამეო! ხომ იცი, რომ ხმის გაუცემლობა მომდურაობას ნიშნავსო?
- მართალია, მაგრამ არც ბევრი ლაპარაკი ვარგა სუფრაზეო, — უპასუხა ჭკვიანმა, — თუ მაინც და მაინც აღარ იშლი, შენ „ციცუ-ციცუ“. მიძახე დამე „მიაუ-მიაუს“ დაგიძახებო.


მოეწონა ბრიყვს და მოჰყვა „ციცუ-ციცუს“ ძახილს. . . პირში ვეღარა ჩაიდვარა. „მიაუ-მიაუს“ იძახოდა ჭკვიანი და თან იტენდა პირს. . . სუფრა რომ აიღეს, ჭკვიანი გამაძლარი დარჩა და ბრიყვი კი მშინერი. მთა რომ ვადაიარეს, ბრიყვს კიდევ უფრო მოშივდა და ამხანაგს უთხრა ვისამხროთო.

— კარგიო, მაგრამ ერთი ხაჭაპურის მეტი აღარ დაგვრჩენია რაო და ის ან შენ არ გეყოფა და ან მეო. . . თუ გინდა, სანაძლეო დავცვათ, ერთ თავში შენ მოუჭირე კბილი, მეორეში მეო; გავსწი-გამოვსწიოთ და ვინც წაართვას, იმას დარჩესო, — უპასუხა ამხანაგმა.

— კარგიო, — დაეთანხმა ბრიყვი, — მაგრამ შენ ახლა „ციცუ-ციცუ“ იძახე და მე „მიაუსა“ დავიძახებო.

მორიგდნენ. მოუჭირა ჭკვიანმა კბილები ხაჭაპურს და მოჰყვა „ციცუ-ციცუო“ მოუჭირა მეორე თავში ბრიყვმა და დაიძახა „მიაუსო!“ ვალო პირი, გამოუვარდა ხაჭაპური და წააგო სანაძლეო. მოჰყვა წუწუნს:

- რაღა ვქნა: შორი გზა მაქვს და საგზალი კი გამომელიაო!
- არა ვიჭირს რაო, — ანუგეშა ჭკვიანმა, — დაბრუნდი შინ, ცოლ-შვილში, ახალი საგზალი გამოაცხოები, მაგრამ ბევრი თუ არ იქნა, „ბრიყვს საგზალი მალე დაეღვევაო“.



აკაკი ბაქოში



პ. სულავე

ბავშვობის წლებში შთაბეჭდილებანი სამუდამო კვალს ტოვებენ ადამიანის მენსიერებაში.

ასეთი კვალადატოვია ჩემზე აკაკი წერეთლის ნახვა.

ეს იყო ქ. ბაქოში, აკაკის გარდაცვალების წინა წელს. მაშინ ბავშვი ვიყავი. მისი ნახვის სრული მნიშვნელობა თუმცა არ მესმოდა, მაგრამ მაინც ნამდვილი ბედნიერება იყო.

როდესაც აკაკი ესტუმრა ბაქოს, მე მაშინ ქართული წერა-კითხვა არ ვიცოდი, რადგან რუსულ სკოლაში ვსწავლობდი, მაგრამ აკაკის ლექსები მაინც ზეპირად მქონდა დასწავლილი ჩემი დის წყალობით. მამაჩემი ქართული მწერლობის დიდი მოყვარული იყო, ამიტომ აკაკის სახელი ჩვენს ოჯახში წმინდათაწმინდა სახელად გაისმოდა.

აკაკის ჩამოსვლა სასიხარულო ამბავი იყო ბაქოს ქართველი საზოგადოებისათვის. მაშინ ამ ქალაქში დიდძალი ქართველი ცხოვრობდა, ისინი უმთავრესად ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლის გარშემო ტრიალებდნენ.

აკაკის ჩამოსვლის ამბავი ჩვენს ოჯახში დამ მოიტანა. აკაკი ქართულ სკოლას სწვევია, დაუვლია კლასები და გამოუკითხავს ბავშვებისათვის ვინაობა. აკაკიმ ჩემ დას თურმე სახელი გაუსწორა: ლიდა კი არა, ლუდმილა გერქმევია. აღვევებულე უყვებოდა ჩემი და ამბავს მამაჩემს და თან ყველას გვთხოვდა ამიერიდან მისთვის ლუდმილა დაგვეძახა. მერე ის მთელ საღამოს აკაკის ლექსს იზეპირებდა შეიძლება საბავშვო დილა მოეწყოს და მე უნდა წავიკითხო ეს ლექსიო.

მამას ძაღზე ესიამოვნა აკაკის ჩამოსვლა ბაქოში და დიდხანს გვიყვებოდა აკაკის შესახებ. მე დიდი სურვილი დამებადა მენახა აკაკი, ვეხევეწბოდი დედას წავეყვანე მამაჩემს მის სანახავად.

ასეთი დროც დადგა. აკაკი ისევ უკან მიემგზავრებოდა, ქართველი საზოგადოება აცილებდა. ჩვენ იმ დროს მივედი სადგურში, როდესაც მატარებელი მზად იყო. სადგურის ბაქანზე დავიცადეთ. დღის ოთხი საათი იქნებოდა. სადგურის დიდი დარბაზიდან ქალართ მოსილი, ახოვანი მოხუცი გამოვიდა. მას თან ახლდნენ დიდძალი გამცილებლები, მამაკაცები, ქალები, ბავშვები.

მატარებელთან აკაკი შეჩერდა. საუბარი გაიმართა. ჩვენ ახლოს მივედი. აკაკის, მგონი, დარჩენას სთხოვდნენ, ის მადლობას უხდიდა მათ, იცინოდა, სხვებიც იცინოდნენ. მე ახლოდან ვუცქეროდი აკაკის, ვცდილობდი კარგად დამემახსოვრებინა მისი მიმზიდველი სახე, რომელიც უფრო ლამაზი მეჩვენა, ვიდრე ის პორტრეტი, რომელიც ჩვენს ოთახში ეკიდა. ცოცხალი აკაკი უფრო მომეწონა, უფრო შემეყვარა, მისმა სიარულმა, ქალარამ კიდევ უფრო დაატყვევა ჩემი გონება.

აკაკი მატარებელში პირდაპირ ხელით აიყვანეს. გამცილებლებს მან მადლობა ქულის მოხდით გადაუხადა. ერთი წლის შემდეგ მამამ მოიტანა რაღაც ფურცელი, სადაც აკაკის გარდაცვალების ამბავი ეწერა. მამაჩემი დიდი მწუხარებით კითხულობდა ამ ამბავს. მამაჩემის მწუხარება მეც ვადამომედა, თუმცა სახეებით არ მესმოდა, თუ რას ნიშნავდა ქართველი ხალხისათვის დიდი აკაკის დაკარგვა. აკაკის გარდაცვალებამ დიდი გლოვა გამოიწვია ქართველ ხალხში. ამ გლოვის მნიშვნელობას შემდეგ მივხვდი.

აკაკი პოეტის რომ არ ყოფილიყო, მაინც ყურადღებას მიიპყრობდა, ისეთი დიდებული შესახებობა ჰქონდა. რომ გენახათ ღინჯი ნაბიჯით ხალხში მიმავალი ქალარა მგოსანი, იტყვილით: მუინვარი დაძრულა ადგილიდან და იგია, ასე რომ ანათებს თავისი სპეტაკი მაღალი შუბლით აქაურობასო.

ახოვან აკაკის თავი ისე ჰქონდა აწეული, გვეგნებოდათ სადღაც შორს გაიყურებდა და წინ ვერავის არჩევსო, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებოდით, შეამჩნევდით, რომ თავლები დახრილი ჰქონდა მშობელ მიწისაკენ, სადაც ყოველდღიურ ქაპანს ეწეოდა მშრომელი ხალხი, რომელსაც თავს დასტრიალებდა მგოსნის ფიქრი და ოცნება.

1915 წლის თებერვლის ერთერთ ცივ დამეს თავის მშობლიურ სოფელ სხვიტორში მიიქცვლა მთელი ერის დიდება და სიამაყე, შარავანდემოსილი აკაკი.

ამ ამბავმა ფეხზე დააყენა მთელი საქარ-

თველო. დამკრძალვ კომიტეტში მის ვიყავი არჩეული და საკუთარი თვალთ ვხედავდი, თუ რა უსაზღვრო მწუხარებით ხედებოდა ძვირფასი მგოსნის ცხენდარს ყოველი კუთხიდან დაძრული ხალხი და როგორი სასოებით იჩოქებდა რკინისგზის სადგურებზე საჩხერიდან - თბილისამდე სამგლოვიარო მატარებლის გავლის დროს.

გადმოგვცით რა ეს მცირე მოგონება უკვდავ აკაკიზე, თქვენთან ერთად ვისწრაფი მთაწმინდისაკენ, რომ ყველას ვასაგონად ჩაეძახო მას სამარეში:

„იხარებდე! სხვეთან ერთად შენი ერთი აღდგა მკვდრეთით; ჯაკუმსხვრეული ამირანიც მიიმდერის გრგვინვა-ქექით!

სანეტარო დახსნის ხმები მოუფინა ზურმუხტ მღვლოს, გაუმარჯოს ბორკილაკრილ თავისუფალ საქართველოს!“



სოვ. ხსიზვირი

აკაკი წერეთელი სულ პატარა იყო, როცა მისმა მშობლებმა ძიძას მიაბარეს აღსაზრდელად. მან ბავშვობა გაატარა სოფელ სავანეში, გლეხის ოჯახში. პოეტის ხსოვნაში სოფელში გატარებული დრო ყოველთვის სიამოვნებას იწვევდა და უკვე ხანში შესული, როცა „ჩემ თავგადასავალს“ წერდა, ტკბილად იგონებდა იმ პირობებსა და იმ წრეს, რომელშიც მოუხდა ცხოვრება თითქმის დაბადებიდან. „არ შემიძლია, არ გამოვტყდე, რომ, თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შეიღებთან ერთად ვიზრდებოდი“.

წერს აკაკი წერეთელი „ჩემ თავგადასავალში.“ სოფელში გაეცნო პატარა კაკო (ასე ეძახდნენ აკაკის ბავშვობაში) ქართველი გლეხის ცხოვრებას, მის ავსა და კარგს, იქვე აკვირდებოდა იგი გლეხების სიხარულისა და მწუხარების მიზეზებს, რაც შემდეგ, დიღობისას, მრავალ მშვენიერად დაწერილ ლექსში გამოთქვა.

სოფელში ცხოვრებამ ბევრი კარგი მხარე გამოუმუშავა მომავალ დიდ პოეტს. იქ იგი ეცნობოდა ხალხურ ლექსებს, ზღაპრებს, არაკებს, მონაწილეობას იღებდა სოფელ ბავშვებთან შაირობაში, ლექსის გამოთქმაში. გაშიარებისას, ზოგჯერ თუ სოფელში გაგონილ ლექსს მოი-



აკაკი სტულცენტიანის.

ხმარდა ხშირად თავის საკუთარსაც ჩაუ-
რევდა ხოლმე, ხელდახელ მოიფიქრებდა
და მსმენელებს აკვირებდა შაირების სხარ-
ტულობითა და მოხდენილობით.

ჩვენი პოეტი ჯერ კიდევ ექვსი თუ
შვიდი წლისა იყო, როცა პატარ-პატარა
ლექსები გამოთქვა თავისი მამის როსტომ
წერეთლის სასახლის ზოგიერთი მსახურის
სასაცილოდ ასაღებად. ამ ლექსებში აკაკი
წერეთელი ჰკიცხავს ზარმაც მომუშავეებს,
სხვისი ქონების მიმთვისებლებს, მღვდლებს
და სხვ. იგი დასცინოდა მამამისის ოჯახ-
თან დაახლოებულ ბერს, რომელსაც სახე-
ლად ქრისტეფორე რქმევია, მის შესახებ
გამოთქვამს შაირი:

„ქრისტეფორე-ბერიოო,
ცოდვებს გაუბერიოო,
წერები ჩვენს ვაცს მიუგავს,
განზე გაუწერიაო“.

აკაკიმ მოურავსაც უძღვნა შაირი. ამ
ლექსში აკაკი მას თავს ადარებს, რო-
მელსაც, იმის მაგიერ, რომ აკაკის მამის
ქონება დაეკვა, თავისთვის მიჰქონდა და
ჯიბეს ისქელებდა. აი ის შაირიც:

„ბელუს თავგი შესწევია,
ხრავს სულ, რაც სახრავიაო,
მაგრამ თვითონ დიდი თავგი
ჩვენი მოურავიაო“.

ასე დასცინის აკაკი წერეთელი მეზა-
რნეს, რომელსაც ღვინოები ებარა აკაკის
მამის, როსტომ წერეთლის, სახლში:

„ხელოსანი მარანშია
ღვინოს იღებს ხაპითაო,
ქურის თავზე იბრუებდა,
სხვებს კი ასმევს ყლამითაო“.

ქვემოთაა
ხელოვნების

არც ზარმაცი მომუშავეები გამოჰპარვია
პატარა აკაკის მხედველობიდან, მათაც
დასცინოდა, არ მოსწონდა, რომ სამუ-
შაოზე გაგზავნილი კაცი არ მუშაობდა,
თავის თავსაც ატყუებდა და სხვებსაც.
აკაკის გამოთქვამს შაირები ხაბაზზე,
რომელიც ცუდ პურს აცხობდა და სხვ.
გარდა ასეთი შაირებისა, აკაკის გამოთ-
ქვამს ლექსები ქაჩორა ქათამზე, ცხენზე
და სხვა.

აკაკი 12 წლის იყო, უკვე ქუთაისის
გიმნაზიის მოწაფე, რომ თავის დედას ეკა-
ტერინეს ლექსი დაუწერა. ეს ლექსი არ-
ის აკროსტიხი, ე. ი. სტრიქონების პირ-
ველი ასოებისაგან გამოდის აკაკის დედა-
ის სახელი ეკატერინე.


ეს ლექსი-აკროსტიხი პატარა აკაკიმ
მიუძღვნა დედას, რომელმაც თურმე სახლი-
ს ირგვლივ ბალი გაალამაზა, მადრევანი
გაიყვანა და კოხტა თაიგულივით შეამკო
ვარდ-ყვავილებით.


გიმნაზიაში სწავლისას აკაკის დაწერი-
ლი აქვს აგრეთვე სხვა ლექსებიც, „პ. ნ.“,
„ჩემს ვენერას“ და სხვანი.

ეს პატარა შაირები და სხვა წერი-
ლი ლექსებ იყო პირველი ნაბიჯები მომა-
ვალი დიდი მწერლისა. აკაკის ბავშვობა-
შივე ეტყობოდა ნიჭი ნაკლის შემჩნევისა
და ადამიანის ცუდი და კარგი მხარეების
შეფასებისა. სოფლის ბავშვებში გაიწაფა
პირველად ხალხურ ლექსაობაში და შაი-
რობაში აკაკის პოეტური ნიჭი, რომელ-
იც სულ უფრო ვითარდებოდა და მრავალ-
ფერფეროვანი ხდებოდა.

როცა უკვე სტულცენტი იყო, აკაკი
ლექსებს ბეჭდავდა მაშინდელ ქართულ
ქურნალ „ცისკარში“.

ამ ქურნალში მონაწილეობით გაი-
თქვა აკაკის სახელი და იგი გადაიქცა
ხალხის საყვარელ პოეტად.





დიდებული მგონის აკაკის სახლი იმყოფება საჩხერის გადაღმა, სადგურიდან სამი კილომეტრის მანძილზე, სოფელ სხვიტორში. აშენებულია მაღლობზე, „გონჯის ხევის“ მთის კალთებზე. სახლი ქვიტკირისაა, ძველებურად ნაშენი, შეიცავს 10 ოთახს და 2 დიდ დარბაზს.

სახლი კოშკის მსგავსია; კედლები დაბალი და მეტად სქელი აქვს. ამ სახლში დაიბადა აკაკი 1840 წ. 9 ივნისს და აქვე გარდაიცვალა 1915 წ. 26 იანვარს. მგონის გარდაცვალების შემდეგ ოთხჯერ მომიხდა სხვიტორში ჩასვლა. ოთახი, რომელშიაც ცხოვრობდა აკაკი და სადაც იგი გარდაიცვალა, დღემდის დაცულია. ოთახის ერთ კუთხეში დგას მისი საწოლი ქვეშაგებით. იქვე, საწოლის წინ, სკამზე მისივე ხელით დალაგებულია შანდალი სანთლით, ასანთი და სათვალე. ლოჯინის გასწვრივ დგას მისი საწერი მაგიდა, სამელნითა და კალმით. შესავალ კარებთან მოთავსებულია უბრალო საწიგნე. თაროებზე აწყვია სხვადასხვა წიგნი. იქვე ახლოს კედელზე მიკიდებულია მისი ტანისამოსი: სახამთრო პალტო და ქუდი, იატაკზე აწყვია ფეხსაცმელები, წინდები და კალოშები. ფანჯარაზე, საწოლთან, დალაგებულია რაქა-ლენჩხუმში მოგზაურობის

დროს ნაჩუქარი (1922 წ.) ხის ხონჩები; იქვე წყლის სურა და კედელზე მიყუდებული ჯოხი. ბუხარში იმ ღამის მუგუზლები და ნაცარია, რომელ ღამესაც გარდაიცვალა აკაკი. ბუხრის თავზე დგას საათი „მალვიძარა“. ის არ მუშაობს. ისარი უჩვენებს ნაშუალამევის პირველ საათს, აკაკის გარდაცვალების წუთებს. ოთახის წინა კარები გაღის განიერ აივანზე, სადაც აკაკის უყვარდა ჯდომა და ოცნება მთვარიან ღამეებში. მრავალი გრძნობიერი ლექსი დაუწერია აქ. აივნიდან მოჩანს გაშლილი მიდამო ლიხის მთამდე და ზედ გაშენებული სოფლები.

მნახველებზე აკაკის ოთახი ცოცხალ შთაბეჭდილებას ახდენს. ოთახის კედლები შეჩითულია მათი მინაწერებით. ყოველდღე მოდიან მნახველები როგორც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ისე უცხოეთიდან. ესენი არიან მასწავლებლები, პოეტები, მხატვრები, მეცნიერები, მუშები და სხ...

აკაკის სახლს უფლის მგონის მეგობარი ქალი, ანიკო აბღუშელიშვილი. ამ ქალის ენერგიული შრომით ოთახი და აკაკის ნივთები მთელად და სუფთად არის დაცული.





(ზღაპარი)

ყო და არა იყო რა, იყო ერთი მატყუარა და თავნება ბიჭი, მეტსახელად ჯანგრილას ეძახდნენ. სკოლაშიაც ასწავლიდნენ, შინაც არიგებდნენ, მაგრამ არ იქნა და არ მორიშალა ტყუილის თქმა. მასწავლებელს არ ემორჩილებოდა, ყოველთვის ატყუებდა, შემდეგ კი იკვებდა: ასე და ასე გავაცრუეო. ერთხელ მოთმინებიდან გამოსულმა მასწავლებელმა ცრუ და ზარმაცი ჯანგრილა გაკვეთილიდან გაისტუმრა.

შინ რომ მივიდა, დედას უთხრა: ჩვენ მასწავლებელს ბნელამ მოუარა და დაგვითხოვესო.

შებინდებისას ჯანგრილამ ენის წვერზე ტკივილი იგრძნო. შეძინებო. წაიბურტყუნა და გამზადებულ ქვეშაგებულზე გაიშხლართა. დილით, პირველად თავის სიცოცხლეში, ცოტა აღრე გავლიდა. პირი ისე ჰქონდა სავესე, თითქოს ცომით გაუტენიათო. წამოდგა, სარკეში ჩაიხედა: ენა ისე გასიებოდა, რომ ვეღარ აბრუნებდა. ჩქარა ჩაიცვა, შინაურების ნამაღველად ეზო გადაიარა და შარას დაადგა. სკოლისაკენ მიმავალი მეგობარი წამოეწია და ააჩქარა: გვიგვიანდება, პირველ გაკვეთილს ვეღარ მივუსწრებთო.

ჯანგრილამ საქმიანი გამომეტყველება მიიღო და ძლიერ წაიღუღუნა:

— მაშაჩემმა ტყეში გამაგზავნა, ნახშირი უნდა დაეწვა.

მეგობარი ვაშორდა. ჯანგრილამ კარგად იგრძნო, რომ ენა პირიდან გადმოუვარდა, ნიკაპზე ჩამოეკიდა და ქანაობა დაიწყო. საკვირველი ის იყო, რომ როგორც კი ტყუილს იტყოდა, მაშინვე უგრძელდებოდა ენა. სოფლის ბოლომდე რამდენიმე ტყუილის თქმა კიდევ მოასწრო და როცა უკანასკნელ ქობს გასცდა, ენა იმდენად გაეზარდა, რომ ძლიერს ლაპარაკობდა. ცოტა კიდევ და მიწამდე ჩამოუგრძელდა. სიარულს უშლიდა, ფეხებში ედებოდა. ახლა კი იკადრა ჯანგრილამ: ენა მხარზე გადაიკიდა და რაც შეეძლო მოკურცხლა მინდვრისაკენ. მირობოდა მატყუარა და მისთრევდა ვეებერთელა ენა. მალე იძულებული გახდა ნაბიჯზე გადასულიყო, რადგან ქვიშამ და ღორღმა დაუეკაწრა ჰარტალა ენა. ეშმაკობას მიჰმართა ჯანგრილამ: ენა რამდენიმეჯერ წელზე შემოიხვია და ნაქარბი ილღიაში ამოიჩარა. ვაი საკვირველებავ! მაინც გაიზარდა, მაინც დაგრძელდა და კუდივით მისთრევდა უკან. კიდევ ეშმაკობა იხმარა მატყუარამ: გზიდან მინდორზე გადავიდა — ნორჩი ბალახია და ენა რბილად გასრიალდებოდა. მაგრამ მოტყუვდა: ცოტა ხნის შემდეგ მწუავე ტკივილი იგრძნო. უკან მოიხედა და რას ხედავს: აუარებელი ქიანჭველა დასევია და უწყალოდ კბენენ. დაფაცურდა ჯანგრილა, მაგრამ ვეებერთელა ენის გაწმენდა არც ისე ადვილი იყო. ქიანჭველები ჰკბენდნენ, თან შესძახოდნენ:

— მატყუარავ, შენა ხარ რომ მასწავლებელს არ ემორჩილები და დედასაც ატყუებ?! ახლა ჩვენი ბუდის დანგრევა განიზრახე!

გაცოფდა მატყუარა, ხალხით გაიძრო და იმით მოიცილა მოუსვენარი ჭიანჭველები. დაიძალა ჯანგრილა და წყალი მოსწყურდა. იარა, იარა და ერთ ხრამს მიადგა, პატარა გუბე იპოვა, მიუახლოვდა. დაიკუნა, მაგრამ ენა წინ ჩავარდა და წყალი ამღვრიდა. გაბრაზებულმა მატყუარამ ენა ამოაგდო, მღვრიეს მიიწვინა და ვეღვო, გაიფიქრა და კვლავ დაილუნა. მაგრამ იქ აღორაფერი იყო. წყალი დაშრულ ენას შეეშრო. მწყურვალე დარჩა. დაღონდა ჯანგრილა, არ იცოდა, რა ექნა. ენა კი დიდდებოდა, იბერებოდა და მორგვს ემსგავსებოდა. მოშორებით ხევი შენიშნა, იფიქრა წყარო იქნებაო და წამოდგა, გასიებული ენა ზურგზე გადაიგდო და ხენვით გასწია.

გზაზე კურდღელი დაინახა, ბაქიას ძუძუს აწოვებდა. მატყუარამ მუდარით მიჰმართა:

— კურდღელო, კურდღელო, შენი ბაქიების გაზრდას, მწყურვალე ვარ, პირი გამასველებინე!

— შენ არა ხარ, მასწავლებელს რომ ეურჩები და დედასაც ატყუებ? არც პირს გაგასველებინებ და არც ბაგებებს! — მიუგო კურდღელმა და ბუჩქებს მიაშურა.

გაწიბრებულმა ჯანგრილამ გზა განაგრძო. სიარული უძნელდებოდა, ენის თრევა თანდათან შეუძლებელი ხდებოდა. წვეტიანი კენჭები, ნარი და თევები კი შეუბრალებლად კაწრავენენ ისედაც გასიებულ ენას. კარგა ხანს სიარულის შემდეგ ირეპი დაინახა.

— ირემო, ირემო, ფეხმარლო და რქებმაღალო, ან ზურგზე შემისვი და წყაროს პირად მიმიყვანე, ან გზა მიმასწავლე.

ირემი ერთ წუთს შედგა, უქმეხად გადმოხედა და მიუგო:

— შენ არა ხარ, მასწავლებელს რომ ეურჩები და დედასაც ატყუებ? არც ზურგზე შეგისვამ და არც გზას მიგასწავლი!

გულდაწყვეტილმა ჯანგრილამ შურით გააყოლა თვალი ლალად მიმავალ ცხოველს. პირი უშრებოდა მატყუარას, ჯიგარი ეწვოდა. სად ეშოვა წყალი, არ იც-



ოდა... მიიწვინა მიდიოდა, მაგრამ ხევი ჯერ კიდევ შორს იყო. შემოაღამდა, ძლივს-ლა ჩანდა მიღამო. მატყუარა კი მიდიოდა და მძიმედ მისთრევედა მორგვივით გასიებული ენა. ტყეში მივიდა. ვეებერთელა ხეს მიუახლოვდა და გაინახა. მახლობლად დათვების ღრიალი ისმოდა. მთელ ტყეს აყრუებდა მათი ბრღღვინვა. შეეშინდა ჯანგრილას. იფიქრა, ხეზე ავალ და უშიშრად დავიძინებო. დაიწყა ცოცვა. ხეს ისეთი წებოვანი კანი ჰქონდა, რომ ასვლა შეუძლებელი გახდა. ხევითა და ზევით ყკლებმა დაუწყეს ჩხელეტა. თან ენა ეწვოდა ქვევით და იძულებული გახდა უკანვე ჩამოცურებულიყო.

მიწაზე რომ დადგა, ხის ტანს ხელი მოუფათურა. შენიშნა, რომ ფულურო იყო. გაუხარდა მატყუარას: აქ მაინც შევფარებ თავსო, გაიფიქრა და შეძერა ფულუროში. დახეთ უბედურებას! გასწორებაც კი ვერ მოასწრო, რომ ფუტკრები დაესივნენ და უწყალოდ დაუწყეს კენა. თან ზუზუნით ჩასძახოდნენ:

— შენ არა ხარ, მასწავლებელს რომ ეურჩები და დედასაც ატყუებ? ახლა ჩვენი თაფლი მოინდომე!

ჯანგრილა ისევე გამოძვრა. სახე მკლავებში ჩამალა... ენას კი ნულარ იკითხავთ: ისე გაასიეს, რომ რუმბს დაამსგავსეს.

უცებ დათვი გამოჩნდა, ტორტმანით მიადგა ფულუროს და ადამიანი რომ დაინახა, შეჩერდა. ჯანგრილამ კანკალი დაიწყა და სიკვდილის მოლოდინში თვალე-

ბი დახუჭა. დათემა ოუმბივით გაბერილი ენა რომ დაინახა, იფიქრა, თავლით გაუვსია ეს გულაო, და მოწიწებითა ჰკითხა: ფუტკრებს სძინავთო?

ჯანგრილამ დასტურის ნიშნად თავი დაუქნია. დათვი შებრუნდა და ვილაცას გასძახა:

— მობრძანდით, პატივცემულო, ფუტკრებს სძინავთ!

— ვის ეძახი ასე მოწიწებით? — ჰკითხა მატყუარამ.

— ჩემს აღმზრდელს და მასწავლებელს, საყვარელ მურა დათვს.

— დათვიც კი პატივსა სცემს აღმზრდელსა და მასწავლებელს, მე კი... — გაიფიქრა ჯანგრილამ და დინჯად მომავალ მურა დათვს მიაჩერდა.

ვახშმის შემდეგ დათვებმა ღამის გასათევად ჯანგრილაც მიიწვიეს. მასპინძელმა ზურგზე აიკიდა სტუმრის „გულა“ და იმასაც გრძობდა, რომ სტუმარიც ზურგზე აჯდა, მაგრამ არაფერს ეუბ-



ნებოდა. როცა დათემა სტუმარი ბუნაგში მიიყვანა და ცეცხლის სინათლეზე შეხედა, აბუტბუტდა, გარეთ გამოავლო და მიადახა:


— შენ არა ხარ, მასწავლებელს რომ ეურჩები და დედასაც ატყუებ? წადი და იქ გაათიე, სადაც გენებოს!

დალონდა ჯანგრილა, დათვისაგან არ მოელოდა წყენას. ბუნაგს მოშორდა და რომელიღაც ხის ძირში თეთრად გაათენა.

დლილით რომ გაეღვიძა საშინელი წყურვილი იგრძნო. წამოდგა, მაგრამ ვეღარ წავიდა: ენა ისე გაზრდილიყო, რომ მისი თრევა აღარ შეიძლებოდა. დაჯდმასთან ერთად ტირილი დაიწყო.

ნაცნობი გლეხი წაადგა თავს. შეშინათვის მოსულყო, ურემი მოეტანა და თან ვირიც მოეყოლებინა.

გლეხმა გულისტკივილით გამოჰკითხა ტირალის მიზეზი და თან ვეებერთელა ენას ათვალერებდა.



ჯანგრილამ ვაივგლახით დაიწყო და ასე დაამთავრა თავისი საუბარი.

— ჩემმა ენამ ყველგან შემარცხვინა, საითაც წაველ, ყველგან ხელი მკრეს და ზურგი შემაქციეს.

— შენი ენით მართლაც რომ არ შეიძლება სადმე წასვლა, — ჩაილაპარაკა გლეხმა და საქმეს შეუდგა: გასიებული ენა დიდი წვადებითა და ოფლის ღვრით შედგა ურემზე. ჯანგრილა კი, რადგან ურემზე არ ეტეოდა, ვირზე შესვა და ისე წაიყვანა სოფელში.

ხანდახან ვირი ძლიერ ჩამორჩებოდა ურემს. მაშინ უზარმაზარი ენა წინ გასწევდა მატყუარას და ტკივილისაგან აყვირებდა. ხან კი ძლიერ მიუახლოვდებოდა ურემს და ამ დროს საცოდავ ჯანგრილას უკან გადასწევდა გასიებული ენა. კიდეც აყვირდებოდა ჯანგრილა და ყურებზე ეკვიდებოდა ვირს, რომ ცოტა შეეჩერებინა.

ხალხი თავიქუდმოგლეჯილი გამორბო-
და ამ უცნაურობის სანახავად.

შუა სოფელში შეაჩერეს ურემი. მატყუ-
არა ვირიდან ჩამოიყვანეს და ხარები გა-
მოუშვეს. ჯანგრილა ველარ ინძრეოდა,
ურემს უკან იდგა და მოზღვავებულ ხალხს
დარცხვენით არიდებდა თვალს. მას-
წავლებელიც მოვიდა ჯანგრილას სანა-
ხავად. დედაც მიუახლოვდა და ამბავი
ჰკითხეს.

მატყუარა შეირხა, ადგილიდან დაიძრა.
ვაი საკვირველებავ! უზარმაზარი ენა მო-

სწყდა და ძველებური ენა შერჩა პირში.
მატყუარამ დაიჩოქა დედისა და მასწავლე-
ბლის წინ და მუხლზე აკოცა ორივეს. თან
იძახოდა: აღარ ვიზამ, ყველაფერს გაგ-
გონებთ, მაპატიეთო!

ურემზე დარჩენილი ენა გადმოაგდეს.
მიწაზე რომ დაეცა, გაქვავდა და ასე და-
რჩა ვეებერთელა ენის ფორმით. მას შე-
მდეგ იმ მიდამოში წესად შემოვიდა:
ვინც მატყუარობას და ურჩობას დაი-
წყებდა, გაქვავებულ ენასთან მიიყვა-
ნდნენ და ჯანგრილას თავგადასავალს
უამბობდნენ.



დიდ მგოსანს

შენი ლექსების ეღერა წყაროა,
ხან ბობოქარი ნიაღვრის თქემში,
ხან მებრძოლია თავგანწირული,
ფარაბჯროსანი, მახვილით ხელში.

ხან ბულბულია ტკბილად მღერალი,
ხან წალკოტია აყვავებული,
ხან ნიაგია მინდვრად მქროლავი,
ხან ქარიშხალი გამძაფრებული.

ოქროსი იყო შენი კალამი
ან ბასრი ჰქონდა ხმალივით წვერი,

რომ დააყენა ფეხზე ქვეყანა,
გამოაღვიძა ტანჯული ერი?

შენი ლექსები გმირებს უზმობდნენ,
შენი კალამი სისხლს ღვრიდა მუდამ,
ჰალარა წვერი გქონდა, მგოსანო,
შენში მებრძოლის სისხლიც კი
დუღდა.

ბნელს გინათებდა მუდამ იმედი,
ეგ შენი გული არ გატეხილა,
ხალხის ცხოვრება ტკბილი, ნათელი,
ნეტავი წუთით მაინც გეხილა!

მე-18-სკ. მე-5 კლ. ფრიაღოსანი მოწაფე გურამ აბაშიანი.





ბ ი ბ ე ნ ი ა

სიტყვათა ა. ნაკაშვილისა.

მუსიკა თამარ შავარდნილისა.

Allegretto.

Piano. *f*

Canto.

1. წი-სუ-ნი-სუ-ნი წა-სა-ო მავ-იჲ ჩამ-ღვ-სა-უ-ო
 წყ-სნი ჴემ-სუ-ნი წა-სა-ო მავ-იჲ ჩამ-ღვ-სა-უ-ო

mf

მა-სა-ო. კობ ჴავ და თავ მომ წო-ნი ში ა-სუ ვავ-ვა-გო-ნი-ო

თო-იჲმ შე-ნის-სუ-სი-ხო-ნით სუ-ღავ დაგ-ვა-ლო-ნი-ო.

ეს არს გასაკვირო,
 დავილია პირო,
 კბილებიც გიკრეჭია,
 დავდგომია კირიო,

მეტად არ გამწარდვო,
 შენ ჴვენ არ გიყვარდვო,
 თუ გულს გერჩის, წამოხტი,
 აბა ინავარდვო.